ხელშეკრულება № 734/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ.თბილისი

20 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ შპს „ბი ემ სი გორგია" წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირვლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და და საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსების ფარგლებში #AR/116/10-101/13 სამეცნიერო საგრანტო პროექტისათვის, (ხელმძღვანელი ა. დოლიძე) ხელსაწყოების, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები (CPV44500000) სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

	დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5	6
1	ბრტყელტუჩა მკვნეტარა მეტალის რეზინის სახელურით 160MM, 6"	44512200	1 ცალი	6.35	6.35
2	ბრტყელტუჩა გრძელცხვირა მეტალის რეზინის სახელურით 160MM, 6"	44512200	1 ცალი	5.85	5.85
3	ბრტყელყუჩა გრძელცხვირა მეტალის რეზინის სახელურით მოხრილი თავით 160MM, 6"	44512200	1 ცალი	6.00	6.00
4	ბრტყელტუჩა მეტალის რეზინის სახელურით 250 MM, 10"	44512200	1 ცალი	11.85	11.85
5	ბრტყელტუჩას ნაკრები 3 ცალიანი 115 MM, 4,5"	44512200	1 ცალი	12.05	12.05
6	ქანჩის გასაღები მილის 300მმ. 12"	44512500	1 ცალი	18.1	18.1
7	ფიქსატორი სამაგრით 50 MM	44512000	1 ცალი	30.55	30.55
8	ქანჩის გასაღები რეგულირებადი რეზინის სახელურით 10"	44512500	1 ცალი	15.95	15.95
9	ქანჩის გასაღების ნაკრები 12 ცალიანი	44512500	1 ცალი	51.6	51.6
10	სახრახნისი მეტალის რეზინის სახელურით 5.5*100 MM	44512800	2 ცალი	2.25	4.5
11	სახრახნისი მეტალის რეზინის სახელურით ph1*100MM	44512800	2 ცალი	2.25	4.5
12	სახრახნისის ნაკრები 6ც-იანი	44512800	1 ცალი	12.65	12.65
13	სახრახნისი სათადარიგო პირებით 7ც-იანი	44512800	1 ცალი	7.85	7.85
14	ექვსკუთხა სახრახნისის ნაკრბი 9ც-იანი	44512800	1 ცალი	9.9	9.9
15	ექვსკუთხა სახრახნისის ნაკრები მრგვალი ბოლოებით 9ც-იანი	44512800	1 ცალი	10.45	10.45
16	ჩაქუჩი გელა მეტალის,ხის სახელურით 80Z (23mm/25g)	44512300	1 ცალი	6.55	6.55
17	საჭრისი 18 MM	44512100	1 ცალი	7.15	7.15
18	სეკატორი 8"	44512000	5 ცალი	8.35	41.75
19	ქანჩის გასაღების ნაკრები სათადარიგო პირებით 46ც-იანი	44512500	1 ცალი	50.6	50.6
20	ცული მეტალის რეზინის სახელურით 600გრ	44511400	2 ცალი	13.4	26.8

21	ჭანჭიკის მომჭერი ელემენტ. მომუშავე 4,8 V	44512000	1 ცალი	26.5	26.5
22	ჩაქუჩი მეტალის ხის სახელურით 200გრ	44512000	2 ცალი	4.75	9.5
23	ჩაქუჩი მეტალის ხის სახელურით 300გრ	44512300	1 ცალი	5.65	5.65
24	დრელი 710W 13mm ბურღით	44512300	1 ცალი	123.11	123.11
25	ელ. ბურღი დარტყმით 0-2800 ბრ/წთ, 810 ვტ	44512900	2 ცალი	65.00	130.00
26	აკ. სახრახნისი 4,8 ვ, 150ბრ/წთ(24 ნაჭ)	44512900	1 ცალი	29.00	29.00
27	კუთ საჭ მანქანა 125 მმ, 11500ბრ/წთ, 1,1 კვტ	44512800	1 ცალი	81.6	81.6
28	ქანჩის გასაღები ხელის - გასახსნელი 12"	44512500	1 ცალი	19.56	19.56
29	კუთხის საჭრელი GWS 7-125 ANGLE GRINDER	44512000	1 ცალი	139.00	139.00
				904.92 ლარი	

სულ სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 904.92 (ცხრაასოთხი ლარი და 92 თეთრი) ლარს.

3. ხელშეკრულების კონტროლი

ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს:

3.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თანამშრომელთა) ინსპექტირების ჯგუფი და/ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.

3.2. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

3.3. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურებების ხარისხის კონტროლს.

3.4. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტისა (მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის) და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის გამოუწერლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, ხარისხობრივ მონაცემებს და პასუხობდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

7.2. შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან არანაკლებ ერთი წლისა, რომლის განმავლობაში „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წუნი/ხარვეზი აღმოფხვრას, მწარმოებლის საგარანტიო პირობების მიხედვით,

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1. თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა და დააკისროს მას საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ზელშეკრულების მოქმედება.

9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

10.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;

ბ) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათალისწინებულ ვადებში მიწოდება

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12. ხელშეკურლების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიქმნება წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

13.2. თუ მხარეები 10 (ათი) კალენარული დღის განმავლობაშუ ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდბლობით დადგენილ წესებს.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2. მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას.

14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური იფორმაცია.

14.1. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულების დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.

14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

14.8. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან, ერთი „მიმწოდებელთან", ორი - „შემსყიდველთან".

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი – ი.ჭავჭავაძის გამზ #1

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ეროვნული გრანტები
სახაზ. კოდი - 3204050102
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

მიმწოდებელი

შპს „ბი ემ სი გორგია "

ი/მისამართი – ბათუმი, სოხუმის ქ. #10
ფ/მისამართი - თბილისი, წერეთლის #140
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ბანკი რესპუბლიკა"
ანგ. #GE93BR0000010251941452
ბანკის კოდი REPLGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 245621288

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

/დ. ჩომახიძე/

შპს – „ბი ემ სი გორგია"–ს დირექტორი

/ხ. ბაბუნიძე/

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

/ი.საღარეიშვილი/

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

/ვ. ბარამიძე/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

" 18 " აგვისტო 2015 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელსაწყოების (ხელსაწყოების, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები CPV44500000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში შპს „ბი ემ სი გორგია"-სთან მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დ. ჩომახიძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ი.საღარეიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ვ. ბარამიძე

შესყიდვების განყოფილების
მთ. სპეციალისტი

დ. ტიკარაძე